ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №50

18.10.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიორგი ებანოიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ჯუბა ყანდარელი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ლუკა კიკიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. **ლევან ჯღარკავა** - შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 10 ოქტომბრის №12-03192833-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** შპს „თბილსერვის ჯგუფის“
დირექტორი: ლ. ჯღარკავა/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 10 ოქტომბრის №12-0319283120-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 11 ოქტომბრის №12-0319284128-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

4. **მიმდინარე საკითხი:** „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 სექტემბრის №12-031924989-03 წერილის მე-7 საკითხი („ზ“ ქვეპუნქტი)) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 10 ოქტომბრის №12-03192833-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლ. ჭღარკავამ.

მომხსენებლის (ლ. ჯღაკავა) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სამსახურის ან ოპერატორისთვის მოწესრიგდება დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვისა და ამოღების პროცედურა.

ცვლილება ითვალისწინებს ნარჩენების მომსახურების მიმღები პირებისათვის (რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი ელექტროენერგიის მომხარებლები) დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის წესს.

ბ-ნი ლ. ჯღარკავას განმარტებით, გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც ერთ დამოუკიდებელ ელექტროენერგიის მომხმარებელზე (აბონენტზე) მიმაგრებული არიან ქვეაბონენტები, რის გამოც ვერ ხერხდება დასუფთავების მოსაკრებლის სრულყოფილად ამოღება. დაანგარიშების მიხედვით, დედაქალაქის ბიუჯეტში, წლიურად, დაახლოებით 2 000 000 (ორი მილიონი) ლარამდე აკ მცდის. მას „ეროვნულ ბანკში“ ჯგუფდა განხორციელა პასპორტიზაცია და ინვენტარიზაცია, რის საფუძველზეც გამოვლენილი და აღრიცხულ იქნა ეს სუბიექტები (ძირითადად, საწყობის ტიპის ობიექტები).

ცვლილებით, ასევე, შემოდის რეგულაცია ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ნარჩენების შემკრები კონტეინერების განთავსებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კვოტირების საფუძველზე, იურიდიულ პირებს მუნიციპალიტეტის მიერ განუთავსდებათ კონტეინერები (1100 ლიტრიანი ან 1.1.მ^3) დასუფთავების მოსაკრებლის ყოველთვიურად დარიცხული გადასახადის მიხედვით. ხოლო დიდი რაოდენობით ნარჩენის წარმოშობის შემთხვევაში, გადამხდელი სუბიექტი თავად უზრუნველყოფს კონტეინერის დადგმას მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით.

გარდა ამისა, როგორც მოქმედი კანონმდებლობით არის დადგენილი, სამედიცინო და სამშენებლო ნარჩენების, ისევე როგორც სახიფათო ნარჩენების შეგროვება უნდა განხორციელდეს ცალკე და მათი საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერში მოთავსება კატეგორიულად აკრძალულია. ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ოპერატორი უფლებას იტოვებს ნარჩენები არ დაცალოს და არ გაიტანოს. ხოლო აღნიშნულის თაობაზე ვალდებულია აცნობოს შესაბამის უფლებოსილ სამსახურს, ამ შემთხვევაში, მუნიციპალურ ინსპექციას, რომელიც გამოავლენს დამრღვევს და დააჯარიმებს.

ცვლილებით ასევე დგინდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სამსახურის ან ოპერატორისთვის დამატებითი ფუნქცია-მოვალეობები, რომლითაც მოწესრიგდება დედაქალაქში ნარჩენების მართვის სფერო.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომელმაც ისაუბრა ცვლილების პოზიტიურ მხარეზე და აღნიშნა, რომ საჭიროა ამ სახის ცვლილება შევიდეს ფიზიკური პირების მიმართაც, რადგან ე.წ. თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებისა და სახლების მესაკუთრეები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი ელექტროენგიის მომხმარებლები, არ იხდიან დასუფთავების მოსაკრებელს, რაც ისევ დედაქალაქის ბიუჯეტსა და მოსახლეობას აზარალებს. მან აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტები დაფიქსირებულია ვარკეთილის დასახლებაში უკანონოდ დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე.

ბატონი რ. სოხაძის განმარტებით, ასევე, მისასალმებელია კვოტირების მიხედვით ნარჩენების შემკრები კონტეინერების განაწილების შემოღება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და **რეკომენდაცია გაეწიოს** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 10 ოქტომბრის №12-0319283120-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიორგი ებანოიძემ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის (მომხსენებელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის

შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 2 ოქტომბრის №19.1038.1343 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01192633114-67).

ბ-ნი გ. ებანოიძის განმარტებით, **№01192633114-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გორგასლის შესახვევი №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.001.008) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, გორგასლის შესახვევი №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.09.001.008, ფართობი: 17313 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 სექტემბრის №293 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, გორგასლის შესახვევი №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.001.008) ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა **და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან** (განაცხადთან) **დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი,** შეკითხვები **და** წინადადებები **არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე **კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 10 ოქტომბრის №12-0319283120-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01192633114-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდა და რეკომენდაცია გაეწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 10 ოქტომბრის **№12-0319283120-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01192633114-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 11 ოქტომბრის №12-0319284128-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. ებანოიძემ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 26 სექტემბრის №19.1024.1315 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01191753584-67; №01192532122-67; №01192462672-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი) - **№01191753584-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ბარნოვის ჩიხი I, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.038.065) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ნაწილის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3). ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით, დადებით პოზიციას აფიქსირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 აგვისტოს №01192173776 წერილით, ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მაქსიმალურად შენარჩუნების პირობით.

განსახილველ საკითხთან (განაცხადთან) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - **№01192532122-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარში, კვანტალიანის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.007.043) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა არსებული საავტომობილო გზის ლოკალურ კონტურთან.

განსახილველ საკითხთან (განაცხადთან) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3“ პუნქტი) - **№01192462672-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.03.001.080-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია ფაქტობრივი მდგომარეობით არ არის გამოყენებული სატრანსპორტო ფუნქციით და მისი არსებობა წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი, ხოლო გზის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდება სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დაურეგისტრირებელი სივრცის - საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, რომლითაც შეიკვრება საავტომობილო გზის ლოკალური კონტური. აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №01192493040

წერილით, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა მოერგოს ფაქტობრივი მდგომარეობით არსებულ გზას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილი ზონის ცვლილება (ფართობი: 22 კვ.მ.) მისაღებია; ასევე, ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დაურეგისტრირებელი სივრცის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მიზანშეწონილია გზის ლოკალური კონტურის შეკვრის მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა **რ.** სოხაძემ, ფუნქციური ზონის შეცვლის შემთხვევაში, სატრანსპორტო გზის გამტარუნარიანობის შესაძლო შეზღუდვის თაობაზე.

ბ-ნმა რ. სოხაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი, კორპუსი „ბ"-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.001.080) მიმდებარედ 163 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების საკითხზე (განაცხადი **№01183103688-67) ქალაქ თბილისის საკრებულოს ურბანული განვითარებისა და საქალაქო მეურნეობის, ასევე, გარემოს დაცვის კომისიების 2019 წლის 1-ლი მარტის გაერთიანებულ სხდომაზე (გარემოს დაცვის კომისიის სხდომის ოქმი №36) მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება, რადგან** დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ნაწილზე არსებული ფუნქციური ზონის (სატრანსპორტო ზონა 1-ის) შეცვლის შემდეგ, მუნიციპალიტეტი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, აუცილებლობის შემთხვევაში გააფართოვოს სატრანსპორტო გზა, მითუმეტეს, რომ აღნიშნული ტერიტორია სამომავლოდ განაშენიანდება. შესაბამისად, ბატონი **რ.** სოხაძე დაინტერესდა, რა სახის ახალი გარემოებანია გამოვლენილი იმისთვის, რომ საკითხი კვლავ იქნა წარმოდგენილი საკრებულოში.

ასევე, კომისიის სხდომაზე კომისიისა და საკრებულოს წევრებმა მოითხოვეს მიწის ნაკვეთის **2005** წლის ორთო-ფოტოს წარდგენა.

ბ-ნი **გ.** ებანოიძის განმარტებით, 2018 წელს საკრებულოში წარმოდგენილი **№01183103688-67** განაცხადის განხილვისას არ იყო წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიცია. ამჟამად, არსებობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 6 სექტემბრის №01192493040 წერილი, რომლის საფუძველზეც ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოში განსახილველად წარდგენა. აღნიშნული წერილით, ტრანსპორტის სამსახური წინააღმდეგი არ არის განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება.

გარდა ამისა, ბ-ნმა **გ.** ებანოიძემ აღნიშნა, რომ ფუნქციური ზონის ცვლილებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს დედაქალაქისთვის, რადგან არსებული გზის კონტური

საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ უზრუნველყოს მასთან დაკავშირებული საგზაო კვანძების გამტარუნარიანობა.

ასევე, მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ უზრუნველყოფილ იქნა სხდომაზე მოთხოვნილი 2005 წლის ორთო-ფოტოს წარდგენა (ww. Tas.ge-ს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით), რომლის მიხედვითაც, აშკარად იკვეთება დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილ ტერიტორიაზე მყარად ნაშენი ღობის კონტური.

წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, **აზრი გამოთქვეს:**

ქ-ნმა ელენე ოზაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ არსებულ სატრანსპორტო გზას ფუნქციური ზონის ცვლილება ხელს არ უშლის. პირიქით, წარმოდგენილი მასალის მიხედვით, მოხდება გზის ლოკალური კონტურის შეკვრა.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა, რომლის აზრით, არსებული გზა მომავალშიც უზრუნველყოფს ტრანსპორტის გამტარუნარიანობას და წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილება არ შეუშლის ხელს გზის გამტარუნარიანობის შენარჩუნებას.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა **და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხებთან** (განაცხადებთან) **დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა განსხვავებული აზრი,** შეკითხვები **და** წინადადებები **არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე **კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 4 ოქტომბრის **№12-0319277128-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01191753584-67; №01192532122-67; №01192462672-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **გარემოს** დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 4 ოქტომბრის **№12-0319277128-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01191753584-67; №01192532122-67; №01192462672-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე **(მიმდინარე) საკითხი:** „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 სექტემბრის №12-031924989-03 წერილის მე-7 საკითხი („ზ“ ქვეპუნქტი))

დღის წესრიგის მეოთხე (მიდინარე) საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. ებანოიძემ.

საკითხის თაობაზე ინფორმაციის წარდგენამდე, სხდომაზე აღინიშნა, რომ კომისიის 2019 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი №49) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე გადადებული იქნა №01192261594-67 განაცხადი - ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VII და VIII მიკრორაიონებს შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.10.006.034) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VII და VIII მიკრორაიონებს შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.10.006.034) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით საკადასტრო მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოწყობის მიზნით. ვინაიდან მოქმედი ფუნქციური ზონა არ ითვალისწინებს მოასფალტებული გზის მოწყობას და სხვა ალტერნატული მისასვლელი გზა არ გააჩნია დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, №01.11.10.006.034 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა **და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ** საკითხებთან (განაცხადებთან) **დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი,** შეკითხვები **და** წინადადებები **არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ **კენჭისყრაზე დასვა,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 სექტემბრის №12-031924989-03 წერილით წარმოდგენილი, №01192261594-67 განაცხადით გათვალისწინებული ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VII და VIII მიკრორაიონებს შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.10.006.034) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1)

სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 6 სექტემბრის №12-031924989-03 წერილის მე-7 საკითხის („ზ" ქვეპუნქტი - №01192261594-67 განაცხადი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრმა, ბ-ნმა ლევან ხაბეიშვილმა ითხოვა სიტყვა თბილისის ზღვაში ჩამდინარე დაბინძურებული წყლის თაობაზე.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილი დაინტერესდა, თუ რა რეაგირება მოყვა მის მიერ გარემოს დაცვის კომისიის 2019 წლის 16 აგვისტოს სხდომაზე (ოქმი №48) მიწოდებულ ინფორმაციას თბილისის ზღვაში მოხმარებული და დაბინძურებული წყლის ჩადინების თაობაზე. ასევე, იყო თუ არა გასული ადგილზე გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე, შესწავლილი იქნა თუ არა ვითარება ადგილზე და რა ღონისძიებები გატარდა შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

ბატონი ერეკლე კუხიანიძის განმარტებით, ბატონი ლ. ხაბეიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეში ეჭვი არავის შეპარვია. იგი, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ადგილზე არ ყოფილა, რადგან სიტუაცია შეისწავლეს შესაბამისმა სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებმა. გარდა ამისა, საკითხი კონტროლზეა აყვანილი. ასევე, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ სასმელი წყალი ყოველდღიურად მოწმდება ხარისხზე, რომელიც აკმაყოფილებს მაღალ სტანდარტებს. თუმცა, პრობლემა ნამდვილად დროულად არის მოსაგარებელი.

ბატონმა ლ. ხაბეიშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ გარემოს დაცვის კომისიის წევრები აქტიურად ჩაერთვნენ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში და თხოვნით მიმართა ბატონ ერეკლე კუხიანიძეს, კომისიის წევრებმა ადგილზე შეისწავლონ შექმნილი ვითარება.

კომისიის მიერ კომისიის წევრის ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე